აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფიზიკური გეოგრაფიისა და გარემოს მდგრადი
განვითარების საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის წარდგენის ბოლო თარიღია 2019 წლის 30 მაისის ჩათვლით

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	20486454
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფიზიკური გეოგრაფიისა და გარემოს მდგრადი განვითარება
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	გეოგრაფიის მაგისტრი 0505
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	2011 წლის 29 ივნისის თსუ აკადემიური საბჭოს №57/2011 დადგენილებით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნოდარ ფოფორაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ ელაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 22 აგვისტოს ბრძანების №771 შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუ-ნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის „ფიზიკური გეოგრაფიისა და გარემოს მდგრადი განვითარების“ სამაგისტრო საგანმანთლებლო პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. შესწავლის მიზანს წარმოადგენდა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 29 იანვრის სხდომის ოქმით (ოქმი №9, 29.01.2019) განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შემოწმება.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ცენტრში 2019 წლის 29 მარტს №4611/01-03-06 წერილით (ცენტრში რეგი-

სტრაციის №452455) წარმოდგენილი ,,ფიზიკური გეოგრაფიისა და გარემოს მდგრადი განვითარების'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესწორებული მასალები და ანგარიში, დამტკიცებული ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის 2019 წლის 11 მარტის სხდომაზე (ოქმი №1, 11.03.2019). ასევე, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2019 წლის 21 მარტს სხდომაზე (ოქმი №2, 21.03.2019).

ექსპერტების რეკომენდაციით, სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებაში საჭირო იყო გარკვეული ცვლილებების შეტანა, რაც გამოიხატებოდა რიგი არჩევითი საგნების დამატებაში და ზოგიერთ სილაბუსში ტექნიკური ხასიათის უზუსტობის გასწორებაში.

რეკომენდაცია: 1. დასამატებელია საგნები, რომელებიც ხელს შეუწყობს ისეთი საჭირო ინსტრუმენტების შესწავლას, როგორციაა დისტანციური ზონდირება და გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები.

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ ამ ეტაპზე სასწავლო პროგრამას დაემატა გეოსაინფორმაციო სისტემები 10 ECTS კრედიტის მოცულობით, რომელთაგან 5 ECTS კრედიტი არის ზოგადი კურსი, 5-5 ECTS კრედიტი არის დარგობრივი გეოსაინფორმაციო სისტემები, რომელიც გათვალისწინებულია შესაბამის არჩევით მოდულებში სპეციალობიდან გამომდინარე.

რჩევა 2. სამაგისტრო პროგრამას საჭიროა დაემატოს სასწავლო-საველე პრაქტიკის კურსი.

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სამაგისტრო პროგრამას დაემატა სასწავლო-საველე პრაქტიკა 5 ECTS კრედიტის მოცულობით გაზაფხულის სემესტრში.

რჩევა 3. გასაზრდელია პროგრამის ძირითად ბლოკში არჩევითი საგნების რაოდენობა.

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ პროგრამის ძირითად ბლოკში არჩევითი საგნების რაოდენობა გაიზარდა ცხრამდე, რაც იმას ნიშნავს რომ ექვს ასარჩევ პოზიციაზე დაფიქსირდა ცხრა საგანი, კერძოდ, დაემატა ორი საგანი „სასწავლო-საველე პრაქტიკა“ და „გეოინფორმაციული სისტემები“

რჩევა 4. არჩევით მოდულებში არჩევით საგანთა ოდენობის გაზრდა.

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ ორივე არჩევით მოდულში არჩევით საგანთა რაოდენობა, ექვსი ასარჩევი საგნის ნაცვლად დაფიქსირდა ათი საგანი. კერძოდ, არჩევითი მოდული-1: „ფიზიკური გეოგრაფია, ნიადაგური რესურსები და გარემოს მდგრადი განვითარება“ დაემატა საგანი სამხრეთ კავკასიის ლანდშაფტების მართვა და მდგრადი განვითარება და დარგობრივი გეოსაინფორმაციო სისტემები, ხოლო არჩევითი მოდული-2: ,,წყლის რესურსების, მეტეოროლოგიური პროცესების და სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვა'' დაემატა საგნები დარგობრივი გეოსაინფორმაციო სისტემები, ბუნებრივი კატასტროფების მართვა და წყლის რესურსების ეკონომიკა.

რჩევა 5: შესატანია შესაბამისი ცვლილებები შემდეგ სილაბუსებში:

შევიდა შემდეგი ხასიათის ცვლილებები შემდეგ სილაბუსებში:

ანთროპოგენული ლანდშაფტები - განახლდა ლიტერატურა;

გარემოს მონიტორინგი - განახლდა ლიტერატურა;

სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვა - დაიხვეწა კურსის მიზანი;

შიდა და შელფური ზღვების ოკეონოგრაფია - დაიხვეწა კურსის მიზანი;

სტოქასტური ჰიდროლოგია - მკაფიოდ ჩამოყალიბდა კურსის მიზანი და

განახლდა ლიტერატურა;

ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ჰიდრავლიკა - დაზუსტდა ლიტერატურა.

გარდა ამისა, საგნის ,,ფიზიკური გეოგრაფიისა და გარემოს დაცვის თეორიული საფუძვლე-ბი'' სახელწოდება დაზუსტდა და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად - ,,გარემოს მდგომარეობის ფიზიკურ-გეოგრაფიული შეფასება''. პროგრამას დაემატა ახალი სავალდებულო საგანი ,,საერთა-შორისო ნიადაგური კლასიფიკაცია (WBR)''. მოწესრიგდა საგნებზე დაშვების წინაპირობები.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფიზიკური გეოგრაფიისა და გარემოს მდგრადი განვითარების" სამაგისტრო საგანმანთლებლო პროგრამასთან აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 29 იანვრის სხდომის ოქმით (ოქმი №9, 29.01.2019) მიცემული რეკომენდაციები გათვალისწინებულია.

ნოდარ ფოფორაძე
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

მიხეილ ელაშვილი
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი